თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

აკაკი ალადაშვილის ანგარიში

2023 - 2024

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2023 წლის 2 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ს წევრი;
- ასევე, გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი.

საკრებულოს საქმინობაში მონაწილეობა

- საანგარიშო პერიოდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 14 სხდომა, მიღებულ იქნა 675 განკარგულება და 113 დადგენილება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ფრაქციის წევრი

ფრაქციას ჩატარებული აქვს 20 სხდომა, სადაც უმრავლესობის წევრებმა განიხილეს 44 საკითხი. დავესწარი 13 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 28 საკითხის განხილვაში. საკითხები შეეხებოდა სატრანსპორტო, ურბანული, ქონების მართვის და გარემოს დაცვის მიმართულებით განსახორციელებელი პროგრამებსა და პროექტებს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია - კომისიის წევრი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჩატარებულ იქნა 27 სხდომა. დავესწარი 22 სხდომას და შევისწავლე 392 საკითხი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მხარდაჭეილ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრების, ან მათი უფლებამონაცვლის დაკმაყოფილება.

- დაუსრულებელი მშენებლობების დასრულების მიზნით გასატარებელი ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები.

- ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა და სხვ.

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - კომისიის წევრი

2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე ჩატარდა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 24 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები. აქედან დავესწარი 19 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 264 საკითხის განხილვაში.

განვიხილეთ ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების განკარგულების პროექტები. დედაქალაქის მერია წარმოდგენილ პროექტს 2017 წლიდან ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, იმ პირებს, რომლებიც ხანგრძლივად ცხოვრობენ კონკრეტულ მისამართზე, საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცემათ. აღსანიშნავია, რომ წელს 173 ოჯახს დაუკანონდა ჯამში 13686 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი, ხოლო 2017 წლიდან სულ 2950 ოჯახი გახდა საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე